საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №152/ნ
2014 წლის 12 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის №19/ნ ბრძანების (ვებგვერდი, 27/01/2012; სარეგისტრაციო კოდი – 190040000.22.022.016285) პირველი პუნქტის:

1. **1.14. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1.14. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ელექტრონული ტესტირების ჩატარებისთვის სპეციალური პროგრამების ინსტალაცია ან/და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ტესტირების პერიოდში – თითოეული გამოსაცდელი პირის ერთ საგანში/თითოეულ ელექტრონულ ტესტირებაში მომსახურება – 0,30 ლარი“.

2. **1.14. ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.15. ქვეპუნქტი:**

„1.15. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო განათლების სასწავლო ოლიმპიადის ჩატარებისთვის სპეციალური პროგრამების ინსტალაცია ან/და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა - ერთ დღეში მომსახურება თითოეულ კომპიუტერზე - 0,50 ლარი“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**